ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №51

2022 წლის 23 დეკემბერი

ქ. ტყიბული

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 მაისის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 მაისის N52 დადგენილების დანართ N1-ში (www. Matsne.gov.ge, 17.05.2018 წ, 190020020.35.125.016318) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** საკრებულოს წევრის ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს და შეადგენს თვეში 744 (შვიდას ორმოცდაოთხი) ლარს“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — იოსებ რობაქიძე